№ 220 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ხუთშაბათი, სექტემბრის 30 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## სახელმწიფო ოპერა.

30 სექტემბერს 1920 წ.

ორიგინალური ქართული ოპერა, მუსიკა ზ. ფალიაშვილისა

### აბესალომ და ეთერი

მონაწილეობენ: მანდენოვა, ერმოლინსკაია, ვიშემირსკაია-ცაგარელი, ზალიპსკი, ვენაძე, კურპატოვი, ჰუმბურიძე, ქურხული და სხ. დასდგამს წუწუნავა.

1 ოქტომბერს 1920 წ. „კიკის ქალი“

2 ოქტომბერს 1920 წ. „რიგოლეტო“

3 ოქტომბერს 1920 წ. „აბესალომ და ეთერი“

918 1—1

## საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭო,

აცხადებს

**კონკურს მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე.**

კონკურსში მონაწილენი ოქტომბრის 20-დის სამეცნიერო საბჭოსადმი მომართულ თხოვნასთან ერთად, აცნობებენ მუზეუმის ადმინისტრაციას: (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 10).

ა) Curriculum vitae-ს.

და ბ) საბიბლიოთეკო მოღვაწეობის სტაჟს.

კონკურსში მონაწილეთ უნდა იცოდენ რამდენიმე უცხო ენა.

სასურველია უმაღლესი განათლება და აგრეთვე ქართული ენის ცოდნა.

თხოვნების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათამდის მუზეუმის კანცელარიაში.

2896. 3—3.

## მეორე სახელმწიფო თეატრში

(ყოფილი არტისტიული, რუსთაველის პროსპ. № 21)

### დანიშნულია ხელახალი საჯარო შეჯიბრება

რადგანაც შეჯიბრება არ შესდგა.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ წინასწარ 70.000 მანეთი ბედ. პირობების გაცნობა თეატრის კანტორაში ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე.

914 2—2

## ქუთაისის სავაჭრო სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების გამგეობა აცხადებს

რომ ამა წლის 12 სექტემბრის აქციონერთა პირველ საზოგადო კრების დადგენილებით აქციების ღირებულების მეორე ნაწილის განაღდების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია

### ამა წლის პირველი ნოემბერი

ეს თანხა უნდა იქნეს შემოტანილი ქ. ქუთაისში საზოგადოების სალაროში ან მის სახელდახელო ანგარიშზე „ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო ნდობის საზოგადოებაში“.

916 3—1

## მიწათ-მოქმედების სამინისტროს ნებართვით ნაფარეულის სახელმწიფო ეროვნულ მამულში

3 ოქტომბერს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სხვა და სხვა ზომის 128 ღვინის ქვევრების გაყიდვაზედ.

1. ვაჭრობა დაიწყება 5,000 მანეთიდან საპალნეზედ.
2. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველნი ვალდებულნი არიან შემოიტანონ გირაო 10 პროც.
3. ვაჭრობის შედეგი სავალდებულო იქნება მხოლოდ სამინისტროს მიერ დამტკიცების შემდეგ.
4. ვაჭრობა დაიწყება 12 საათზე.
5. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება მიწათ-მოქმედების სამინისტროში, წინანდალის და მუკუზანის მამულებში და თვით ნაფარეულის სახელმწიფო მამულში.

915 2—1 ნაფარეულის სახელმწიფო მამულის მოურავი მ. კრუპენიკოვი.

ოფიციალური განყოფილება.

## სახელმწიფო ბიუჯეტი 1919-1920 წლისა.

სახელმწიფო შემოსავალი 1919—20 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვად, პარაგრაფებად და მუხლებად დაყოფილი.

| ბიუჯეტის § § | მუხ. | შემოსავლის სახელწოდება. | სამინისტროს აღრიცხვა. | ჯამი. |
|---|---|---|---|---|
| | | **ბ ა ჟ ი.** | | |
| | | **სადერბო სასამართლოს, საკანცელარიო, საბუთების ჩაწერისა.** | | |
| 11\|11 | 1\|1 | სადერბო გადასახადი | ფინანსთა სამინისტ. | 6000000 |
| | 2\|2 | დაწესებულებაში ბაჟი და სასამართლოს დაწესებულებაში ქაღალდების ფურცლობითი გადასახადი | „ „ | 220000 |
| | 3\|3 | კანცელარიის საქტო სამმანეთიანი ბაჟი | „ „ | 11000 |
| | 4\|4 | საკანცელარიო და სხვა და სხვა საბუთის ქაღალდის შედგენისა და გაცემის გადასახადი | ( ფინანსთ. სამინისტ. ( 8.000.000 ( იუსტიც. სამინისტ. ( 750.000 | 8750000 |
| | 5\|5 | სამაკლერო და სანოტარო დავთრების გადასახადი | ფინანსთა სამინისტ. | 1000 |
| | 6\|10 | საქარხნო სურათებისა და ნიმუშებისა, პრივილეგიებისა და საკუთრების უფლების ბაჟი | „ „ | 1000 |
| | 7\|11 | მამულებზე ყადაღის დადებისა და მოხსნის ბაჟი. | იუსტიც. სამინისტ. | 750000 |
| | | | მე-11-ე §-ის ჯამი. | 15723000 |
| | | **გარდამავალ ქონებათა ბაჟი.** | | |
| 12\|12 | 1\|1 | სიმტკიცის ბაჟი | ფინანსთა სამინისტ. | 3000000 |
| | 2\|2 | უსასყიდლოთ გარდამავალ ქონებათა ბაჟი | „ „ | 5000000 |
| | 3\|3 | სამკვიდროს ბაჟი დროზე გადაუხდელობისა და ამ ბაჟის წესების დარღვევის ჯარიმა და ბაჟის ნაწილობრივ გადახდევინების სარგებელი | ფინანსთა სამინისტ. | 10000 |
| | | | მე-12-ე §-ის ჯამი. | 8010000 |
| 13 | | საქონლის გემების გადასახადი ნავთსადგურებში | გზათა სამინისტ. | 14000000 |
| | | | მე-13-ე §-ის ჯამი. | 14000000 |
| 14\|15 | | ცეცხლისაგან დაზღვეულ ქონების ბაჟი | ფინანსთა სამინისტ. | 100000 |
| | | | მე-14-ე §-ის ჯამი. | 100000 |
| | | **სხვა და სხვა ხახელობის ბაჟი.** | | |
| 15\|16 | 1\|2 | სასინჯაო გადასახადი | ფინანსთა სამინისტ. | 500000 |
| | 2\|4 | საპენსიო თანხის გამონარიცხი | „ „ | 74000 |
| | 3\|15 | კერძო ვექილთა გადასახადი | იუსტიც. სამინისტ. | 1500 |
| | 4\|21 | სასწორ-საზომის შემოწმების და დადაღვის გადასახადი | ფინანსთა სამინისტ. | 100000 |
| | 5\|22 | პასპორტის გადასახადი | შინ. საქმ. სამინისტ. | 2000000 |
| | | | მე-16-ე §-ის ჯამი. | 2675500 |
| | | **მთავრობის რეგალიები.** | | |
| 6\|17 | 1\|3 | სამთო შემოსავალი | ფინანსთა სამინისტ. | 32700 |
| | | | მე-17-ე §-ის ჯამი. | 32700 |
| | | **ფოსტის შემოსავალი.** | | |
| 7\|19 | 1\|1 | ფოსტის ნიშნებისა და ნაღდ ფულად კორესპონდენციის გაგზავნისა | შინ. საქმ. სამინისტ. | 8400000 |
| | 2\|6 | საერთაშორისო ფულის ჵარათების გადასაგზავნი | „ „ | 684000 |
| | 3\|3 | პერიოდიული გამოცემა | „ „ | 1116000 |
| | | | მე-19-ე §-ის ჯამი: | 10200000 |
| | | **სატელეგრაფო და სატელეფონო შემოსავალი.** | | |
| 18\|20 | 1\|1 | დეპეშების გადაცემისათვის | შინ. საქმ. სამინისტ. | 25200000 |
| | 2\|2 | მთავრობის ტელეფონის ქსელით სარგებლობისათვის | „ „ | 7800000 |
| | 4\|3 | ტელეფონის ერთდროული გადასახადი | „ „ | 624000 |
| | | | მე-20-ე §-ის ჯამი. | 33624000 |
| | | **სახაზინო ქონება და თანხები.** | | |
| 19\|22 | 1\|4 | მარილის მადნების იჯარისაგან | ფინანსთა სამინისტ. | 1000 |
| | 2\|5 | ქვანახშირის მაღაროების წარმოებისაგან | გზათა სამინისტ. | 50000000 |
| | 3\|6 | სახაზინო სამთო სამრეწველო მიწების მოხილვისა და დამუშავების უფლების გადასახადი | „ „ | |
| | 4\|7 | ნავთიანი ადგილებისაგან | ფინანსთა სამინისტ. | 8160 |
| | 5\|8 | ა) სადალო შემოსავლისა და ხაზინის ქონებისაგან | მიწათმოქმ. სამინისტ. | 114500000 |
| | | ბ) მიწის ფონდის კერძო საკუთრებად გადაცემის შემოსავალი | „ „ | 252000000 |
| | | | მე-22-ე §-ის ჯამი. | 416509160 |

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### არა ოფიციალური განყოფილება.

## ფინან. საქ. სამინისტროში.

**ცირკულიარი.**

28 სექტ. ყველა სამაზრო ერობის გამგეობებს, ქალ. ტფილისის მილიციის უფროსს და აფხაზეთის კომისარიატს. კანცელარია ამასთანავე გაცნობებთ, ცნობისათვის და სათანადო განკარგულების მოსახდენად, რომ თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა, ვინაიდან თავდაცვის საბჭომ თავისი მოქმედება დაამთავრა და ყველა 1888, 1889, 1894 და 1895 წლებში დაბადებულნი მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის კაცნი დათხოვნილნი არიან ორი თვის შვებულებაში, ამის გამო ამა წლის 4 მაისიდან თავდაცვის საბჭოს დადგენილება ოჯახის ერთად-ერთ მარჩენალის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შეჩერების შესახებ, გაუქმებულია და ხელახლად ძალაში შედის 20 მაისის კანონი.

## მიწად მოქ. მინისტრისაგან

**ცირკულიარად.**

**სამაზრო ერობათა გამგეობებს.**

რესპუბლიკის მწვავე ეკონომიურ მდგომარეობის გამო მთავრობის და ერობათა უმთავრეს მზრუნველობას უნდა შეადგენდეს სახელმწიფოს უზრუნველყოფა ჭირნახულით; ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა ხვნა-თესვისათვის ხელის შეწყობა და გაფართოვება შემოდგომის ნათესისა თუნდაც გაზაფხულის ნათესის მაგიერ.

ამ გვარი გაფართოვება სასურველია შესაფერ რაიონებში განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მთა-გორიან ადგილებში, ე. ი. იქ, სადაც სიმინდი შემოდის გვიან და იძლევა ნაკლებ მოსავალს.

ეხლა სოფლის მცხოვრებნი იწყებენ უკვე საშემოდგომო თესვას და სხვა საშუალებათა შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათესლე მასალას.

ცნობილია, რომ სუფთა და გადარჩეული მარცვალი ხვნა-თესვაში, სხვა გაუმჯობესობის გარდა, საგრძნობლად უმატებს მოსავალს და ამცირებს ხორბლის უსუფთაობას.

წარსულ წელს რესპუბლიკის მრავალ რაიონში მოვიდა მეტად უსუფთაო ხორბალი და მისი დათესვა გაუწმენდავათ აუცილებლივ შეამცირებს მომავალი წლის მოსავალს, ამისათვის უნდა იყოს მიღებული ზომები, რომ სოფლელებმა დაამზადონ კარგი ხარისხის სათესლე მასალა.

აუცილებლათ საჭიროა ამას თემის საშუალებით მიექცეს მცხოვრებთა სათანადო ყურადღება და გამოიცეს სავალდებულო დადგენილება სათესლე პურის კარგად გაწმენდის შესახებ, თუნდაც რომ გაწმენდა ხდებოდეს ხელით ოჯახის ყველა წევრისა ქალებისა და ბავშვების დახმარებით.

ამასთან ერთად სამაზრო ერობებს შეუძლიათ:

1. შეაკეთონ ყველა პურის სარჩევი მანქანები და ტრიერები, რომლებიც აგრონომიულ პუნქტებშია შეგროვილი და მიიღონ ყოველი ზომა მათი ფართოდ სარგებლობისათვის ახლო-მახლო მცხოვრებლების მიერ.

ზოგ ადგილებში მცხოვრებლები დარწმუნდენ სათესლე მარცვლის გარჩევა-გაწმენდის აუცილებლობაში და ამისთვის დიდი რიგებია საწმენდ მანქანის სარგებლობისათვის.

ამისთანა შემთხვევებში საჭიროა, რომ მანქანა მუშაობდეს განუწყვეტლად და მიეცეთ საშუალება, რომ მანქანით ისარგებლოს მცხოვრებთა უმეტესმა ნაწილმა.

2. იმ სათადარიგო შემოდგომის პურიდან და ქერიდან, რომელიც შემოუვიდა ერობებს ლალის სახით უნდა გადაირჩეს უფრო კარგი ხარისხის მარცვალი.

3. თუ სათესლე მასალა საკმარისი არ არის ან უვარგისია უნდა მიღებული იყოს ზომები მის სხვაგნიდან შესაძენად. ერობებმა უნდა მხედველობაში იქონიონ, რომ უფრო საიმედოა სათესლე მარცვლის შეძენა ბუნებრივ პირობებით მსგავს რაიონებში. აგრეთვე ურწყავი მამულისთვის არ უნდა ისარგებლონ სარწყავ მიწაზე მოსული ხორბლით. კერძოთ, ქუთაისის გუბერნიისათვის და აფხაზეთისათვის, სადაც ჭირნახული მალე გადაგვარდება ხოლმე, სათესლე მარცვალი უნდა შეიძინონ ქართლის დასავლეთ ნაწილში (გორის რაიონი).

თავის მხრით მიწათ მოქმედების სამინისტრო ერობათა გამგეობებს მისცემს ამისათვის საჭირო ცნობებს და გაუწევს დახმარებას:

1. გაწმენდილი პურის მიცემით იმ თადარიგიდან, რომელიც მას აქვს და იმ შემოსავლიდან, რომელსაც მიიღებს სახელმწიფო მამულებიდან.

2. მისცემს უფლებას გასაწმენდ მანქანებით სარგებლობისას, რომლებიც სახელმწიფო მამულებშია; დაეხმარება სათესლე მასალის შესყიდვაში, მის გამოტანაში და რკინის გზებზე დაუბრკოლებლივ გადატანაში.

და 3. ხორბლის დეზინფექციის (протравливанія зерна) მოწყობით იმ რაიონებში, სადაც მეტად გავრცელებულია გუდაფშუტა (головня).

მთავრობის და ადგილობრივ ორგანიზაციების შეერთებული ძალებით უნდა იყოს მიღებული ყოველგვარი ზომები მიწის მოსავლიანობის და მოსავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის ეკონომიური კეთილდღეობა ბევრათ არის დამოკიდებული აღნიშნულ ზომების შესრულებაზე. სრულ იმედს გამოვსთქვამ, რომ ერობები სათანადო ყურადღებით მოექცევიან წამოყენებულ საკითხს და არ დაზოგავენ თვის ძალღონეს, რათა ხალხი უზრუნველყოფილი დარჩეს საკმაო სურსათით.

მიწად-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი**

## ფინანსთა სამინისტროში

**სახელმწიფო ბიუჯეტის მოწესრიგება.**

ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე სექტემბრის 27 ს, საბჭოს წევრმა ე. კოზლოვსკიმ გააკეთა მოხსენება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოწესრიგების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხარჯ-აღრიცხვის პროექტი შედგენილი იყო კიდევ აპრილში, სანამ საჭირო საგნებზე ფასების უეცარი მომატება მოხდებოდაო. ფასების გაზრდას უნდა მოეხდინა გავლენა ხარჯთაღრიცხვის გასავალ ნაწილზე. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დეფიციტი, მაშინაც კი რომ შემოსავალ ნაწილის ყოველ მუხლს გაემართლებინა მოლოდინი. სახელმწიფო ბიუჯეტის მოსაწესრიგებელ ზომებს შორის მომხსენებელმა დაასახელა: 1) უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს სასწრაფოდ დაარსება და მასთან ბიუჯეტის საკითხის შესასწავლად საგანგებო სექციის მოწყობა; 2) შემოსატან და გასატან საქონელზე დადებულ ძველ საბაჟო გადასახადების გადასინჯვა; 3) ყურძნის ღვინოს შესახებ გამოცემულ კანონის გავრცელება რესპუბლიკის ყველა ქალაქებზე; 4) გადასინჯვა კანონისა თამბაქოზე აქციზის დაწესების შესახებ; 5) შემოსავლის კვალობაზე დაწესებულ გადასახადის და სამრეწველო გადასახადის შეკრების სისტემის რეორგანიზაცია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დასახელებულ ზომებს აქვს სასწრაფო ხასიათი და რომ მათი განხორციელება რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს. დასახელებული ზომები საბჭომ ცნობად მიიღო.

**ფინანსთა მინისტრის საბჭოში.**

ს. ავალიანის თავმჯდომარეობით შემდგარ ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე გაირჩა საკითხი ტფილისის 2 საურთიერთო ნდობის საზოგადოების ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო ბანკად გადაკეთების შესახებ. ამ საკითხის შესახებ მოხსენება ვ. ბრეგაძემ გააკეთა. საკითხის განხილვის შემდეგ გადაწყდა საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეთა ჯამაგირების ცენტრობანკის შემადგენლობის ჯამაგირებთან შესაფარდებლად მოხდეს ამ საკითხის ხელმეორე გარჩევა საბჭოს მომავალ სხდომაზე. ამავე სხდომაზე გადაწყდა გადიდდეს კოოპერატიულ ბანკის ძირითადი თანხა 10 მილ. მან.

## უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

**საბერძნეთში.**

სექტემბრის 8 დიდ-ძალი ხალხის თანდასწრებით გაიხსნა საბერძნეთის პარლამენტი. პირველი სხდომა ვენიზელოსის პატივსაცემად შესდგა. პარლამენტის თავმჯდომარემ მისასალმებელ სიტყვების შემდეგ წინადადებას უყარა კენჭი: პალატა იღებს რა სახეში საზავო ხელშეკრულებას ოსმალეთთან და დიად ეროვნულ საქმეს და გამოხატავს რა მთელ საბერძნეთის აზრს, აცხადებს ვენიზელოსს სამშობლოს მხსნელად და ადგენს გააკეთოს პარლამენტის სხდომის დარბაზში ვენიზელოსის პატივსაცემლად საპატიო დაფა. ეს წინადადება მიღებულ იქმნა ხმის დიდი უმრავლესობით. ამის შემდეგ სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა ვენიზელოსმა, რომელმაც თავის სიტყვაში, სხვათა შორის კატეგორიულად უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს მომავალი არჩევნები სამხედრო პარტიის გავლენის ქვეშ მოხდებოდეს. ახალი პალატა, განაცხადა ვენიზელოსმა, არ იქნება დამფუძნებელი კრება, იგი სარევიზიო ყრილობა იქნებაო. ამასთანავე ვენიზელოსმა აღნიშნა საჭიროება კონსტიტუციის რამოდენიმე მუხლის შეცვლისა.

**გაქცეული ბოლშევიკები.**

რეიტერის სააგენტოს ცნობით უმაღლესმა სასამართლომ უნგრეთის მთავრობას უნგრეთიდან გაქცეულ ბოლშევიკების გაცემის შესახებ უარი უთხრა.

**ტყვეების გაცვლა.**

„ჟურნალ-დე იტალია“ სწერს: იტალიამ 4.000 რუსი ტყვე 303 იტალიელზე გასცვალა. მაშინ, როდესაც რუსები ახლით ჩაცმულნი და ორ-ორ წყვილ ფეხსაცმელებით გააგზავნეს, იტალიელები მშიერ მწყურვალნი და დახეულ ტანსაცმელში მოვიდნენ. ეს კიდევ ცოტაა—ამბობს გაზეთი: იტალიის გემი, რომლითაც გაიგზავნა რუსი ტყვეები, უკან დაბრუნების დროს დაეჯახა ბოლშევიკების ნაღმს და დაზიანდა. დაიღუპა 6 იტალიელი. ესეც ცოტაა. იტალიამ გაგზავნა რუსეთში წამლეულობით დატვირთული ტრანსპორტი, რის სანაცვლოდ მან მიიღო ან დამპალი, ან ჩხირებიანი ხორბალი. გაზეთი სწერს: მოსკოვის ლაყბობა ვერ გააძღებს ვერც იტალიას და ვერც რუსეთსო.

(გაზეთებიდან)

**ვენიზელოსის მოკვლის განზრახვა.**

ის შეთქმულები, რომელთაც განიზრახეს ვენიზელოსის მოკვლა დაისჯებიან ყველანი სამოქალაქო სამართლით.

**ელინელები და ქემალისტები.**

ქემალისტებმა კარახისარს ევაკუაცია გაუკეთეს. მათ უკან დაიხიეს ბაღდადის ხაზამდის. ელინელთა შეტევა და წინსვლა გრძელდება. მათ რამდენიმე სტრატეგიული ადგილი ჩაიგდეს ხელში.

**სომეხთა ეროვნული საბჭო.**

სომეხთა ეროვნულმა საბჭომ კონსტანტინოპოლში პატრიარქ-კათოლიკოს ჩავენის თავმჯდომარეობით შემდეგი დადგენილებანი გამოიტანა: 1) არავითარი დამოკიდებულება არ იქონიოს ოსმალეთის მთავრობასთან, ვიდრე ოსმალეთი არ შეასრულებს საზავო პირობების ყოველ მუხლს; 2) ერევნის რესპუბლიკა უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ გამაერთიანებელ დიდ სომხეთის იდეად; 3) დაეხმარონ კილიკიისთვის მებრძოლი გმირებს და ხელი შეუწყონ მათ გაძლიერებას.

**საბერძნეთის პარლამენტი.**

ათინიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთის პარლამენტი დათხოვნილია. არჩევნები დანიშნულია 7 ნოემბრისათვის.

**წყალდიდობა საფრანგეთში.**

საფრანგეთში რაიონ მურიენში ახლო მდებარე მდინარესთან მატორი გაფუჭებულა, წყალს გადმოუხეთქია ნაპირებიდან და მთლად წაულეკია მოდენში რკინის გზის ლიანდაგი.

**მდგომარეობა კაპანში.**

კაპანის მცხოვრებლები დიდ წინააღმდეგობას უწევენ ბალშევიკებს. ბალშევიკებს მიემხრენ ზოგიერთი მუსულმანთა მოსახლეობა ყარაბახიდან მაგრამ მაინც ბალშევიკები უკუგდებულ იქმნენ დიდი ზარალით.

**უკრაინაში.**

უკანასკნელ ამბების გამო უკრაინაში მღელვარებაა. მცხოვრებნი მუდამ შიშში არიან. ქ. კიევმა თავისი ელფერი დაჰკარგა. იგი ბევრნაირად არის დაზიანებული და დაზარალებული.

## საბჭოთა რუსეთში.

**„წითელი პეტროგრადი“.**

იტალიის კომუნისტურ მიმდინარეობის გაზეთი „ავანტი“-ს რედაქტორი, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა საბჭოთა რუსეთში მოგზაურობიდან ერთ ერთ თავის წერილში ასე ასწერს წითელ პეტროგრადს: მისი სიტყვით, პეტროგრადში ცხოვრება სრულიათ ჩაკვდა, ქუჩები ბალახმა დაფარა; პუტილოვის ქარხნები დაცარიელდა. რუსის მუშებში შრომის უნარი იმდენად დაეცა, რომ მათთან შედარებით სამხრეთის ზარმაცი იტალიელები უაღრესად ბეჯითებათ უნდა ჩავთვალოთ. მემარცხენე მიმდინარეობას მეორე იტალიური გაზეთი „სეკოლო“ სწერს: საბჭოთა რუსეთიდან დაბრუნებულ დელეგატების გადმოცემით პეტროგრადის ქუჩებს უმთავრესად იცავენ ქალებისაგან შემდგარი პოლიციელები, რომელნიც თოფებით და რევოლვერებით არიან შეიარაღებულნი და გამვლელებზე პურსა და შაქარს ყიდიან. პეტროგრადში ბოლო ხანს გაჩნდნენ ახალი ყაიდის მდიდრები, რომელთაც დიდი ძალი ფული შეიძინეს სპეკულიაციით და ბოროტ-მოქმედებით. ხალხში ძალიან გაძლიერდა სარწმუნოებრივი გრძნობა. საყდრები სავსეა ყოველდღე მლოცველებით. მღვდლებს დიდი გავლენა აქვთ ხალხში. ხოლო კომუნისტების რისხვის თავიდან ასაცილებლათ მღვდლები თავის თავს კომუნისტებათ აცხადებენ და მოუწოდებენ ხალხს მშვიდათ იყვნენ და საბჭოთა მთავრობას მხარი დაუჭირონ.

**მუშათა ხელფასი ბაქოში.**

ბაქოს „კომუნისტ“-ის № 34-ში დაბეჭდილია აძერბეიჯანის რევკომის მიერ დამტკიცებული ნუსხა მუშა მოსამსახურეთა ხელფასისა. მთელი მუშა-მოსამსახურენი დაყოფილნი არიან 35 კატეგორიათ. აქ მოგვყავს ცნობა პირველი და უკანასკნელი კატეგორიის შესახებ:

პირველი კატეგორია იღებს თვეში 2400 მან., ან დღეში 96 მან., ან საათში 12 მან. მე 35 კატეგორია: იღებს თვეში 9600 მან., ან დღეში—384 მან., ან საათში 48 მან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ფული ბაქოში დაახლოვებით 3 ჯერ დაბლა ფასობს, ვიდრე ჩვენი ფული.

**მუშა ხელის სიმცირე და შრომის ბეგარა.**

პიატიგორსკში მუშა ხელის დიდი სიმცირეა. ისპოლკომმა განკარგულება გასცა მოხდეს 18—50 წ. წ. მობილიზაცია შრომის ბეგარის მოსახდელათ („კომ.“ № 111).

**შავი ჟამი.**

გიორგიევსკში შავი ჟამის ეპიდემია მძვინვარებს. წამლების და მედიკამენტების დიდი სიმცირეა. ისპოლკომმა დაადგინა სასწრაფო ზომები იქნეს მიღებული წამლების შესაძენათ. („კომ.“ № 111).

## ევროპის სოც. დელეგაციის წასვლა

სექტემბრის 28 საღამოს 11 საათსა და 20 წუთზე ტფილისიდან ბათომს გაემგზავრა, იქიდან ევროპაში წასასვლელად ევროპის სოციალისტური დელეგაცია. მათ გასაცილებლად სადგურზე მივიდნენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგები ა. ლომთათიძე და ს. მდივანი, მთავრობის წევრები ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, გვარდიის უფროსი ვ. ჯუღელი და სხვები. დელეგაციის წევრებმა გრძნობიერ შეხვედრისათვის მადლობა სთქვეს. შევიდნენ ვაგონში. 11 საათ. 20 წუთზე გავიდა მატარებელი. დელეგაცია ბათომიდან სექტემბრის 29 გავა.

**დელეგაციის შთაბეჭდილებანი.**

დელეგაციის წევრებმა დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გამოსთქვეს თავის კმაყოფილება ამ მშვენიერ ქვეყნის საქართველოს ნახვით. რენოდელმა სთქვა: საქართველოს შეუძლია მოიზიდოს დიდძალი ტურისტები უცხოეთიდან. საქართველოში მოგზაურობა შვეიცარიაზე ნაკლებ საინტერესო არ იქნება. საჭიროა საქართველოს სასარგებლოდ პროპაგანდის გაწევა, რათა ტურისტები მოაწყდენ ამ მხარეს, რომელსაც ეკონომიური მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამისთვის აუცილებელია ევროპიდან საქართველოში მოგზაურობის გაიაფება, მოსვლა და გაბრუნება 1000 ფრანკზე მეტი არ უნდა ეღიროს. ჰიუსმანსმა და რენოდელმა განაცხადეს, რომ ისინი გაზაფხულზე ისევ ჩამოვლენ უეჭველად საქართველოში.

დელეგაციის წევრი დე-ბრიუკერი ოქტომბრის 15-მდე დარჩა ტფილისში.

## მუშათა დელეგაცია.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა პროფესიონალურ კავშირებს შემდეგი განცხადებით მიმართა: „პატივცემულო ამხანაგებო, როგორც თქვენ მოგეხსენებათ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ არ შეუშვა რუსეთში ჩვენი დელეგაცია. აღმასრულებელმა კომიტეტმა სექტემბრის 21 იმსჯელა, შექმნილ მდგომარეობის შესახებ და შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1) უშუამდგომლოთ მიმართოს რუსეთის პროფესიონალურ კავშირებს და აცნობოს, რომ საქართველოს მუშათა კლასი ცდილობდა გაცნობოდა რუსეთის მუშათა კლასის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, გაცნობოდა მის მუშაობას და ურთიერთ განობით აღედგინა ძმური კავშირი. თუ მან (ჩვენ მუშათა კლასს) - წაარ-

თვის ეს საშუალება, დეე მაშინ თვითონ რუსეთის მუშათა კლასმა გამოგზავნოს ჩვენთან თავისი დელეგაცია: ჩვენ ვაძლევთ სრულ გარანტიას, რომ ჩვენი მთავრობა დართავს მას ნებას რესპუბლიკაში შემოსვლისას და რომ დელეგაცია დიდი სიხარულით იქმნება მიღებული, 2) გაეგზავნოს მიმართვა პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიუროს და ეცნობოს მას, რომ ჩვენი დელეგაცია არ იყო შეშვებული რუსეთში, რომ ბოლშევიკურ მთავრობას ეშინია გამოაქვეყნოს შედეგი თავისი მუშაობისა და რომ ამიტომ ხელი შეუშალა საქართველოს მუშებს უშუამავლოდ გაეცნობოდა ბოლშევიკების მუშაობას. გაეცნო რუსეთის „სოციალიზმი“ და რუსეთის მუშათა კლასის მდგომარეობა, 3) ეცნობოს ყველა პროფესიონალურ კავშირს და საბჭოს რუსეთში დელეგაციის არ შეშვების შესახებ, რომ საქართველოს მუშათა კლასს და მთელ დემოკრატიას ქონდეს წარმოდგენა რუსეთის დღევანდელ მმართველობის მოქმედებაზე. გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს გთხოვთ საერთო კავშირებს გაეცნოთ შექმნილ მდგომარეობას და გამოიტანოთ ამის შესახებ თქვენი დადგენილება.

# ახალი ამბები

◆ **კ. კაუცკის ჩამოსვლა.** 28 სექტემბერს დილით ჩამოვიდა კარლ კაუცკი მეუღლითურთ. მათ ნავთსადგურში შეხვდა ბ. ჩხიკვიშვილი საქ. ს. დ. პარტიის ცენტრალურ კომ. წარმომადგენელი დ. შარაშიძე, ვლ. მგელაძე, წულაძე და კაუცკის მდივანი ოლბერტი. ს. დ. პარტიის ცენტრალ. კომიტეტის სახელით კაუცკის მიესალმა დ. შარაშიძე.

◆ **ინგლისის წარმომადგენლის ჩამოსვლა.** სექტემბრის 28 ტფილისს ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის უმაღლეს კომისრად დანიშნული ინგლისის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სტოკსი. სადგურზე მათ შესახვედრათ გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული მუსიკით. მას სადგურზე შეხვდენ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი გენ. გედევანიშვილი, გენ. ჯაფარიძე და სხვები. პოლ. სტოკსმა ჩაუარა საპატიო ყარაულს და მისალმების შემდეგ გაეშურა მისიისკენ. დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისართან ჩამოყვა პოლ. ბროუნი, შვებულებიდან დაბრუნებული მისიის მდივანი რურკერი და ლეიტენანტი ორბელიანი, რომელიც დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს ბათომში შეხვდა.

— სექტემბრის 28-ს საღამოს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სტოკსი ინახულა ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრმა მაკდონალდმა და ხანგრძლივი საუბარი ქონდა მასთან.

— სექტემბრის 29-ს დილის 11 საათზე ტფილისიდან სტამბოლს უნდა წასულიყო დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ტიუკი, რომელმაც თავის თანამდებობა პოლკ. სტოკს გადასცა.

◆ **პროფ. დებრიუკერის მოხსენება.** სექტემბრის 28 სახალხო სახლში დელეგაციის წევრმა დებრიუკერმა წაიკითხა მოხსენება მრეწველობის სოციალიზაციაში მუშათა მოთხოვნილებების შესაძლებლობის შესახებ. დებრიკერი დაწვრილებით შეეხო, თუ როგორ უნდა მოხდეს სოციალიზმის განხორციელება. მოხსენებას დაწვრილებითი ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ.

◆ **უცხო ვალიუტის წარმოება.** სია იმ საკრედიტო დაწესებულებებისა, რომელთაც მინიჭებული აქვთ უცხო ვალიუტით ოპერაციის წარმოება, თანახმად მთავრობის ა. წ. აგვისტოს 31 დადგენილებისა და უცხო ვალიუტის მომწესრიგებელ განსაკუთრებულ თათბირის დადგენილებისა 16 სექტემბრიდან: 1) კავკასიის ბანკი, 2) სავაჭრო ბანკი, 3) ამიერ-კავკასიის ბანკი, 4) ევროპა-კავკასიის ბანკი, 5) ცენტრობანკი, 6) ფრიდონოვის ბანკირის კონტორა, 7) აზოვო-დონის ბანკის ტფილისის განყოფილება, 8) ვოლგა-კამის ბანკის ტფილისის განყოფილება, 9) საერთაშორისო ბანკის ტფილისის განყოფილება, 10) იტალო-კავკასიის ბანკის ტფილისის განყოფილება და 11) საქართველოს კოოპერატიული ბანკი. სია პროვინციის იმ საკრედიტო დაწესებულებებისა, რომელთაც მიენიჭებათ უცხო ვალიუტით ოპერაციის წარმოების უფლება განსაკუთრებით იქნება გამოცხადებული.

◆ **მოსკოვის სახალხო ბანკი.** როგორც ვაიგეთ, საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილემ ლ. სტარკმა საქართველოში არსებულ მოსკოვის სახალხო ბანკს დაუნიშნა კომისარი ი. კადიში, რომლის განკარგულების შესრულებაც სავალდებულოა ბანკისათვის. ამის გამო მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილებამ აცნობა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილეს, რომ ბანკი არსებობს 1911 წლ. წესდების მიხედვით, წარმოადგენს კერძო უფლებრივ ხასიათის კოოპერატიულ დაწესებულებას და მოქმედობს საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიხედვით. ამიტომ კომისრის დანიშვნა იურიდიული გაუგებრობაა და კომისრის დანიშვნა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია.

◆ **მთავრობის თავმჯდომარესთან.** სექტემბრის 28 მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია ინახულა ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრმა ჰიუსმანსმა და ერთს საათს ებაასა.

◆ **გენერალი კვინიტაძე.** ჯარების ყოფილი მთავარ-სარდალი გენერალი კვინიტაძე სამსახურიდან გავიდა და ამასთანავე თავი დაანება სამხედრო სკოლის უფროსობასაც.

◆ **გადასახადი ჩაიზე.** სააქციზო სამმართველოში მოხდა თათბირი ადგილობრივ ჩაიზე გადასახადის დაწესების შესახებ. თათბირი იმ დასკვნამდი მივიდა, რომ ადგილობრივ ჩაის გადასახადათ საბაზრო ფასების 5 პროცენტი უნდა დაედვას.

◆ **სენატში.** განახლდა სხდომები სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტისა.

◆ **მარგანეცი.** შრომის სამინისტროს და „ჩემოს“ საზოგადოების წარმომადგენლები კვირა და უქმე დღეობით გემების მარგანეცით დატვირთვის საკითხის მოსაწესრიგებლად ფოთში გაემგზავრენ.

◆ **ქართოფილის მიწოდება.** მუშათა მაგიდამ საქართ. რკინ. გზათა განყოფილებას მისცა წინადადება დაამზადოს მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის 100.000 ფუთი ქართოფილი.

◆ **პურის გამოცხობის გაუმჯობესება.** მუშათა მაგიდამ ცენტრალურ ქალაქის № 2 პურის საცხობისთვის საჭირო მექანიკურ დგმის ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა. დგმა 2 მილ. მან. ჯდება. ასეთი მანქანებით ხდება მექანიური ცომის მოზელა და სხვა. მუშათა მაგიდის წინადადებით სასურსათო განყოფილება ახალ მანქანების დადგმას ამ დღეებში უნდა შეუდგეს.

◆ **ნახშირის მიწოდება.** მუშათა მაგიდამ მიწად მოქმედების სამინისტროს ტყის განყოფილებასთან ხელშეკრულება დასდვა ხის ნახშირის მიწოდების შესახებ.

◆ **სენატში.** სექტემბრის 10 სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში გემი „მარიას“ შეიარაღებულ გაცარცვის საქმე არის დანიშნული. ეს საქმე გარჩეული იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოში, რომელმაც უმეტესობა პასუხისგებაში მიცემულთა გაამართლა. საქმე პროკურორის მიერ პროტესტის განცხადების გამო ხელმეორედ ირჩევა.

# ერობა

## ერობათა კავშირის მოწოდება.

ერობათა კავშირმა სამაზრო ერობებს შემდეგი შინაარსის მიმართვა დაუგზავნა:

მეტად მძიმე პირობებში ჩავარდნენ ამ უკანასკნელ დროს ქალაქის მუშები და საზოგადოთ ქალაქის მცხოვრებნი; მიუხედავათ მთავრობის მიერ რესპუბლიკის ფარგლებში თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადებისა და მიუხედავათ მიმდინარე წლის კარგი მოსავლისა, ქალაქს სოფლიდან არ შემოუდის საჭირო სურსათი და რაც შემოდის ძლიერ ძვირი ჯდება და უმეტესობისათვის ხელმიუწდომელია; დღითი დღე პირველ საჭიროების საგნებზე ფასი იზრდება და არ ჩანს დასასრული ამ ზრდას. ყოველივე ეს, რასაკვირველია, იწვევს მცხოვრებთა გაჭირვებულ მდგომარეობას, ჯერ-ჯერობით ჩუმ უკმაყოფილებას და ალაგ-ალაგ აშკარა საყვედურის გამოთქმასაც; მომავალში შესაძლებელია ყოველივე ამას არა სასურველი შედეგიც მოჰყვეს და საჭიროა ეხლავე სათანადო ზომების მიღება; ერობებს ამ დარგში ბევრის მოგვარება შეუძლიათ და ისინი უეჭველათ ჩვეულებრივ ჩაებმიან ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეში. პირველ ყოვლისა საერობო დაწესებულებანი შეეცდებიან დაუმტკიცონ სოფლელებს, რომ ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან მიაწოდონ ქალაქს ის სურსათი, რაც მათ საჭიროებას აღემატება და მით იხსნან ქალაქი განსაცდელისაგან და სახელმწიფო არა სასურველ მოვლენებისაგან. აუცილებლივ ერობის მოქმედება ამ მხრივ ნაყოფიერი იქნება, სოფელი არ დაიშურებს თავის მხრივ დახმარება გაუწიოს ქალაქს და ამით მტკიცე და მაგარი ნიადაგი მოუმზადოს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას; მაგრამ მოსალოდნელია, სოფლის მიერ ქალაქისათვის მიწოდებულ საქონელს გადაზიდვის დროს გაწეულ ხარჯების გამო ისეთი ფასები დაედოს, რომ მომხმარებელმა ვერც კი შესძლოს იმის შეძენა.

შემჩნეულია, რომ იმ პირობებში, რომელშიაც ეხლა საქართველო იმყოფება, ადგილობრივ მრავალი არა კანონით შემოღებული გადასახადები წესდება გადასახადის თუ ნებართვების გაცემის სახით, რაც საქონელს აძვირებს და მის ღირებულებას ზრდის. კანონით დაწესებული გადასახადი და მთავრობის ან მომარაგების სამინისტროს მიერ შემოღებული წესი, რასაკვირველია, სავსებით შესრულებული უნდა იქნეს, ხოლო რაც ამას ეწინააღმდეგება და კანონით არ არის ნება დართული, დასაშვები არ არის და საერობო დაწესებულებანი, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ორგანოები ადგილობრივ სათანადო ზომებს მიიღებენ და კანონის საწინააღმდეგო არა იქნება რა ჩადენილი. უეჭველათ ძნელი წარმოსადგენია სახელმწიფოებრივი მოქმედების ნორმალური მსვლელობა, როდესაც საერთო კანონების გარდა გადასახადების შესახებ ადგილობრივ თემის თუ სამაზრო ერობის ფარგლებში შემოღებულია ადგილობრივი გადასახადები საქონლის გაზიდვის, თუ შემოზიდვის დროს. შეიძლება ეს ზომა შეადგენს შემოსავლის რაიმე წყაროს ადგილობრივ დაწესებულებისათვის, მაგრამ ის საქონლის ფასს აძვირებს და იწვევს მკვიდრთა კანონიერ და საფუძვლიან უკმაყოფილებას.

ერობათა კავშირის კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს საერობო დაწესებულებანი, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ორგანოები ადგილობრივ, მტკიცეთ ადევნებენ თვალყურს კანონების დაცვას, არავითარ გადასახადს, არა საკანონმდებლო წესით შემოღებულს, არ დაუშვებენ, თავის მაცადინეობით და რჩევით მიაწოდებინებენ სოფლებს ქალაქისათვის ხელმისაწვდომ ფასებში სურსათს და მით იხსნიან სახელმწიფოს არასასურველ მოვლენისაგან, რომელიც მას მოელის, თუ სასურსათო საკითხი სასურველად მოწესრიგებული არ იქნა.

# რკინის გზებზე

რკინის გზის მილიციის უფროსმა ტფილისის რ. გ. სადგურის უფროსსა და სამგზავრო მატარებელთა პარკის გამგეს შემდეგი აცნობა: სექტემბრის 18, იმ დროს, როდესაც პარკიდან სადგურზე გამოიყვანეს სამგზავრო მატარებელი № 7 და 9 შევნიშნე, რომ ვაგონებში უკვე იყო მრავალი მგზავრი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოსამსახურენი წინასწარ უშვებენ მგზავრთ ვაგონებში ადგილების დასაკავებლად ამით ირღვევა სამსახურის ვალდებულება, სავალდებულო წესები და, რაც უმთავრესია, მავნე ელემენტებს საშუალება ეძლევათ დაუსჯელათ სცარცვონ სახაზინო და კერძო პირთა ქონება. ამ გვარმა დაუდევრობამ 1917-18 წელს სამგზავრო ვაგონები ხმარებისათვის სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა. მაშინ ამის წინააღმდეგ მკაცრი ზომები იქმნა მიღებული. გთხოვთ მიაქციოთ ამ გარემოებას ყურადღება, არ შეიძლება დავიწყებულ იქმნას წარსული გაკვეთილები. საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ბოროტ-მოქმედებას.

# მილიციაში

— სამშაბათს, 28 ენკენისთვეს მე-8-ე უბანში გაქურდეს მოქალაქე ეფიმია ტერ-მარტიროსოვი, რომელსაც მოპარეს 300.000 მან. საღვრალი ნივთები და ორი დიდი ხალიჩა, რომლის ღირებულება გამოურკვეველია. მე-8 ე უბნის კომისრის თანამდებობის აღმსრულებელმა შ. გომართელმა მილიციონერ ივლ. ჯანელიძის უახლოესი დახმარებით შეიპყრო ქურდები: სტ. კარალოვი, სტ. აივაზოვი და სხვა, რომლებიც ქურდობაში გამოტყდენ და ნივთები უკლებლივ წარუდგინეს მილიციას.

# ხელოვნება.

## სახელმწიფო თეატრი.

სახელმწიფო თეატრის სამმართველომ დაამუშავა ანგარიში თეატრის წარსულ სეზონში მუშაობის შესახებ. თანახმად ანგარიშისა, საოპერო სეზონი შარშან დაწყებულა ოქტომბრის 4 და დასრულებულა ივნისის 4. სულ თეატრში 380 სპექტაკლი შემდგარა, აქედან მუშებისათვის დადგმულა 26 სპექტაკლი, ჯარისათვის 8, და 43 სამხატვრო. გარდა ამისა მოეწყო: 3 ლექცია, 8 კონცერტი, 7 ქართული სპექტაკლი, 2 სომხური, 2 თათრული და საბავშვო სპექტაკლები.

## მუშათა წარმოდგენები.

სახელმწიფო თეატრის მმართველობა იუწყება, რომ მუშათათვის ოპერები დაიწყება ოქტომბრის 9. ოპერები—საოპერო თეატრში შაბათობით დაიდგმება და დრამები დრამატიულ თეატრში კვირაობით.

# ბიბლიოგრ. შენიშვნები

## საფუტკრის მოვლა. მეფუტკრის კალენდარი. თხზულება ედუარდ ბერტრანისა.

(მთარგმნელი გამომცემელი ლ. ცაგარელი. გამოიცა სამხედრო კავშირის დახმარებით. ფასი 30 მან.

(დასასრული)

თარგმანი შევადარე დედანს და დავრწმუნდი, რომ ცაგარელი ცდილა სიტყვა სიტყვით გადმოეღო ყოველივე. როგორც იქნა მივხვდი, რომ წამოყენებული კოვანის მიერ რუსულად ყოფილა Представленая кованом—ქართველი კი იტყოდა კოვანის მიერ გამოგონებული, ან კოვანისაგან გამოფენილი (რადგან ეს იყო გამოფენაზე). ხონდიანი და კაფონი თუ რა არის ეგ არც ახლა ვიცი. ის კი ვიცი, რომ დაბეჭდილ ფიჭას არ აქვს ხუფი, ხუფი ჰურჭლის თავსაცობი, ფიჭას აქვს ზემოდან სიფრიფანა თავი და აი, როცა ამას მახვილი დანით გადავაცლით (და არა წავაჭრით) უჯრებიც გაიხსნება.

გადავშალოთ კიდევ 120 გვერდი, იქ ვკითხულობთ: „ჩაწოლილი (?) თაფლი შეძლებისამებრ არ უნდა შეინძრას და ამიტომ ჩვენ მთელ თაფლს სხვა და სხვა წონის ბანკებში ვასხამთ, რომლებიც პირდაპირ ბაზარში გაგვაქვს“. თვით შეადარეთ ახლა დედანს: Сѣвшій медъ не слѣдуетъ по возможности трогать, и потому для продажи мы весь собранный медъ разливаемъ въ бочки разнаго вѣса, которыя прямо и поступаютъ въ продажу.

ყველა ქართველი მეფუტკრე ამას ასე იტყვის: ჩახვირიშებული (ანუ ჩაკრეფილი, ჩაბაქული) თაფლი უნდა ვეცადოთ მყუდროთ იყოს, არ შევანძრიოთ, ამიტომაც ყველაზე უკეთესია, თუ თაფლი გასაყიდათ გვინდა ცენტროფუგზე დაცლისათანავე ჩავასხათ სხვა და სხვა წონის ბანკებში და იმავე ბანკებით გავყიდოთ.

„ძალიან სქელი თაფლი, როგორიც არის ჩადუნისა (?) ცენტროფუგით სრულებით არ გამოეცლება ნაჩვრეტებიდან“. დედანის გადახედვით გავიგე, რომ ჩადუნა ყოფილა Верескъ—ეს არის სწორი თარგმანი, ჩადუნას ქართლში გვიმრას (Папоротникъ) ეძახიან, ვერესკი კი ხეა, რომელიც ჩვენში სულ არ მოიპოვება.

„დახურული ბანკები ხუფების ირგვლივ ქაღალდის ნაქსოვის ნაჭრებით ან ქაღალდით შემოწებოვდება“. Закрывъ банку мы заклеиваемъ ее плоскою бумажной тканю или обыкновенной бумагой.

მართალია, დიდი რუსულის მცოდნე არ ვარ, მაგრამ бумажная ткань, რომ ქაღალდის ქსოვილი არ არის ეს კი ვიცი. „ბუმაჟნაია ტკანია—უბრალო პირკალი (მიტკალი) ჩითი გახლავს ბ-ნო მთარგმნელო.

ვიმეორებ სპეციალური წიგნის მთარგმნელი საჭირო საგანს თვით იყოს გაცნობილი, მაშინ მისთვის ადვილი გასაგები იქნება. ბ. ცაგარელი კი ცდილა დედანის „ერთი ფრაზაც არ შეეცვალა, რომ უფრო ადვილი გასაგები ყოფილიყო“ *) Вумажная ткань—გვითარგმნა ქაღალდის ქსოვილათ და ამის შემდეგ რაღა გასაკვირი იქნება, თუ Взятокъ მისთვის საშოვარია და არა მშვენიერი ხალხური სიტყვა ღალა. აქედან წარმოსდგება მეორე სიტყვა მოღალე ფუტკარი, ესე იგი უკვე წამოჩიტებული ფუტკრები (მუშა), რომელიც ღალის შესაგროვებლად მიფრინ-მოფრინავს, ბ. ცაგარელი ამასაც პირდაპირ რუსულიდან თარგმნის და რაკი რუსები ამბობენ Летніе მანც აილო და უწოდა ფრინავი ფუტკარი, ფრინავი ყველა ფუტკარია, მაგრამ ყველა მოღალე კი არ არის.

ბევრს არ გავაზვიადებ, ვიტყვი ისევ ნათქვამს—წიგნის ყველა გვერდი გაუგებრად არის ნათარგმნი. რის გამო წიგნს დაკარგული აქვს თავისი ღირსება. დავასრულებ პატ. გომარ-

*) ტიც. ტაბიძის სიტყვებია.

ა. წ.

თლის სიტყვებით: „ბატონო ჩემო თქვენ სრული უფლება გაქვთ სწეროთ ისე, როგორც გნებავთ. მაგრამ ინებეთ და გასაგებათ დას წერეთ ის, რასაც საჯაროთ აქვეყნებთ". ამას დავსძენ: რის წაკითხვაშიაც რვა თუმანს (წიგნის ფასია) მახდევინებ და ძვირფასს დროს მაკარგვინებ.

სენაკის სამ. ერობის მეფ. ინსტრუქტორი

აპ. წულაძე.

დამატება: ბ-ნი ცაგარელი ერთი სიტყვითაც კი არ ახსენიებს, რომ ქართველებს აქვს ქართულ ენაზე მეფუტკრეობის შესასწავლი წიგნები, ეს უმადურობაა: მშვენიერი წიგნაკია განსვენებული მიხ. ზაალიშვილის, ბ-ნ დარეჯანაშვილის და ბოლოს თვით ჩემი, მაგრამ შეცდომაა ჩემ წიგნს („ფუტკარი და მეფუტკრეობა") ჩემი უწოდო, ის მე უკვე აღარ მეკუთვნის და აი რატომ, სპეციალობის მხრით ის განიხილა, მოიწონა და ოქროს მედალით დააჯილდოვა კავკასიის მეფუტკრეთა გამოფენის ექსპერტ-სპეციალისტებმა, გამოსცა თავის ხარჯით (მე ჰონორარიც კი მომცეს) სპეციალურმა საზოგადოებამ—კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოებამ, წიგნის რედაქტორობა მიანდვეს საზოგადოების თავმჯდომარეს, ცნობილ მეფუტკრეს, ფრიად განათლებულ ადამიანს განსვენებულ პლ. მიხ. ლორთქიფანიძეს, რომლის მოწვევითაც წიგნი დაბეჭვდამდე გადაათვალიერა კომისიამ, მეფუტკრეებმა და (მათ შორის გან. მლ. ალ. ჯალიაშვილმაც, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი წიგნის ფუტკრის ანატომია). დასტამბვის შემდეგ წიგნი ყველა ჯურის პრესის მიერ მოწონებულ იქმნა, გურია-სამეგრელოს და იმერეთის ეპარქიების მღვდელთმთავრებმა წიგნის შეძენა სავალდებულოთ გახადეს ეკლესიებს და სამრევლო სკოლებს. იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე კი იმ ჟამათ იყო საზოგადო მოღვაწე და ჩინებული ქართულის მცოდნე თედორე ჟორდანია. წიგნი გაზეთის ფურცლებზე შეაქო სახალხო სკოლების მაშინდელმა ინსპექტორმა ბ. კ. დ. მაჭავარიანმა და მის რუსულად თარგმნა დაიწყო (და რომ ომი არა, ახლა რუსულადაც იქნებოდა გამოცემული), რაც უმთავრესია მოიწონა ხალხმა და 2 ათასი ცალი ოთხ წელში გაიყიდა (წელს შიგ იძლეოდენ 100—300 მან.) წიგნის მეორე გამოცემის უფლება შეიძინა წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოებამ. ახლა გავსინჯოთ ენის მხრით: მთელი ორი წლის განმავლობაში ფუტკრის ცხოვრებას ვწერდით „ნაკადულში", რომლის სტილს მაშინ ასწორებდა ქართული ენის კორიფეი ბ. გრიგოლ ყიფშიძე, ცხადია წიგნიც ვეცადე იმავე ენით დამეწერა, როგორც ვწერდი „ნაკადულში". წიგნის შედგენის დროს ვისარგებლე ყველა ცნობილი წყაროებით (თვით ბერტრანიც მოვიშველე) და ნუ თუ ყოველივე ამის შემდეგ მე უფლება არა მაქვს, რომ ვსთქვა, რომ ეს წიგნი ჩემი არ არის მეთქი—ამის შემდეგ უფლებაც მაქვს ბ-ნ ცაგარელს ვუსაყვედურო, როცა ის არსად ამ წიგნს არ იხსენიებს—არც ავათ და არც კარგად.

აპ. წულაძე.

# ცნობები

გადამდებ სნეულებიან ავადმყოფთა შესახებ ქ. ტფილისში
15—23 სექტემბრამდე 1920 წ.

| | | ტ. ი. ფ. ი. მუცლის | შებრუნებითი | ყვავილი | დიფტერიით. | | | ქუნთრუშა | დიზენტერია | ხოლერა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] ქალაქის პირველ საავადმყოფოში. | იყო 15 სექტემბერს | 20 | 7 | 5 | 1 | — | — | 1 | 1 | 18 | 53 |
| | მიღებულ იქმნენ | 2 | — | 6 | 1 | — | — | — | — | 1 | 9 |
| | გამოეწერა | 5 | 3 | 1 | 1 | — | — | 1 | — | 8 | 19 |
| | გარდაიცვალა | — | — | 2 | — | — | — | — | — | 1 | 3 |
| | რჩებიან 23 სექტემბრ. | 17 | 4 | 8 | — | — | — | — | 1 | 10 | 40 |
| ტფ. 1 საგუბერნ. საპყრობილის საავადმყოფოში | | — | 2 | — | — | — | — | — | — | — | 2 |
| წამლობენ სახლში | | 4 | — | — | — | — | — | — | — | — | 4 |
| აღნუსხულია სულ ავადმყოფ. | | 6 | 2 | 6 | 1 | — | — | — | — | 1 | 15 |

## განცხადებანი

დაიკარგა მოსკოვის შრომის არტელიდან მიღებული 23 მაისს 1917 წ. კვიტანცია აფანასი ფედოტის ძე გრინიევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2839 3—2

ქუთაისის ოლქის სასამართლო, თანახმად 293, 301 და 309[1] სამოქალაქო სამართლის წესდ. მუხლებისა იწვევს ოთხი თვის ვადაში, დღიდან განცხადების მოთავსებისა „საქართველოს რესპუბლიკაში" ავსტრიის ქვეშევრდომ ქრისტეფორე ანდრიას ძე რაიჩევიჩს რომლის საცხოვრებელი ბინა გამოურკვეველია, საქმის გამო მეკვიდრეების გარდაცვალებული პოლინე კოტარის სოფიო სიმონის ასული ტრიე და ლუბა სიმონის ასული კოტარის საწინდრის გაუქმებაზე. უკეთუ გამოხმობილი პირი ან მისი ვექილი არ გამოცხადდება დანიშნულ დროს სასამართლოს მიერ იქნება დადგენილი თანდაუსწრებელი განჩინება. 2920 1—1

დაიკარგა ნუსხა და პირადობის მოწმობა გაბო მიხეილის ძე ბათაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2880 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3669. ვლადიკავკავის ქალ. მილიციის სამმართველოდან პეტრე ტიტის ძე ფეფელოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2819 3—3

იოანნე (ივანე) ლევანის ძე კაჭარავა აცხადებს, რომ მან დაკარგა ამიერ-კავკასიის სამოსწავლო სემინარიის კურსის დასრულებისა, მოწმობა, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2864 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან ალექსანდრე სერგოს ძე ფონტინის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2837 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიიდან, მოწმობა მიღებული 1857 წ. ადგილობრივ მცხოვრებლობის და ორი ავადმყოფობის მოწმობა მიღებული მიხეილის საავადმყოფოდან თეფილია სტანისლავის ასულის აპსოლონის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს.

ქ. უფ. 3—3

დაიკარგა საოჯახო (პასპორტი მიღებული ქ. ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1905 წ. 11 ნოემბერს № 7912. ელისაბედ მიხეილის ასულის თაიროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2808 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული მე-15 სათადარიგო ბატალიონიდან და პირადობის მოწმობა მიღებული მე-2 ქვეითა ათასეულის კანცელარიიდან ეკატერინე ნიკოლოზის ასულის ტონჯაშვილის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2818 3—3

დაიკარგა კვიტანცია ცხენთა გადასახადის შეტანის მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 5 თებერვალს 1920 წ. ლაზარ შუშანოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2838 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 188 და რევოლვერის ტარების მოწმობა № 539 მიღებული ჭიათურის სახალხო გვარდიის შტაბიდან გვარდიელ პავლე ლუარსაბის ძე გამყრელიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 900 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ს. ხემოავჭალის კომისარისაგან თოფის „ბერდენკის" ნებართვა, პირადობის მოწმობა და ცხენის ყოლის ნებართვა (მოწმობა) მიღებული მწყემსთა კავშირიდან ზაქარია პესარიონის ძე ბუტიკაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2844 3—3

დაიკარგა პასპორტი ტაისია ნიკოლოზის ასული ჩერნიშევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2899 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ელენე დავითის ასული ამილახვარის სახელზე დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფ. ნოტარიუსისგან 1893 წ. რეესტრით № 70. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2894 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი ალექსანდრე სტეფანეს ძე ფურცხვანიძის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1910 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2892 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 51 ოლღა ვასილის ასული ბაზაევას სახელზე, მიღებული პეტროგრადის მე-4 საპოლიციო უბნიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2890 3—3

ქუთაისის საერთო განათლების საღამოს კურსების (ჩიჩინაძის) სახელზე გაიგზავნა პაკეტი 17 დეკემბერს 1919 წელს რომელშიდაც იყო სამი სიმწიფის მოწმობა ამავე კურსების აბიტურიენტთა: 1. თინა ყარამანის ასულის გაჩეჩილაძისა № 12495, 2. მელიტონ კიმოთეს ძე თევდორაძის № 12496 და 3. შალვა იოსების ძე ჭელიძის № 12497. ზემონაჩვენები საბუთები დანიშნულ ადგილას არ მოსულა, დაიკარგა გაუქმებულად ჩაითვალოს. 911 3—3

ქ. ტფილისის მე-3 უბნის მომრიგებელ მოსამართლემ თავის დადგენილებით 23 სექტემბერს 1920 წ. გააუქმა სრული მინდობილობის ქაღალდი გიორგი ზოტას ძე ევსინეევის მიერ მიცემული მისი მეუღლეზე ანნა ანდრიას ასული ევსინეევაზე მამულის მართვა, გამგეობის და საქმის წარმოების შესახებ შემოწმებული ქ. ტფილისის ნოტარიუსი მიტკევიჩის მიერ 1917 წ. იანვრის 25 დღესა რეესტრით № 1159. 2903 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სამურზაყანოს სამაზრო ერობის გამგეობიდან აკაკი ალექსის ძე ფიჩხაიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2902 3—2

დაიკარგა 1900 წ. დაბადებულთა გასაწვევ სიაში შეტანის მოწმობა № 20 მიხეილ ვასილის ძე კაზაკოვის სახელზე მიღებული 13 კომისარიატიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2908 3—2

დაიკარგა პასპორტი ივანე ალექსის ძე ბასიევის სახელზე, მიღებული ვარშავის ქართველთა კომიტეტიდან 1920 წ. 3904 3—2

დაიკარგა ატესტატი, მიღებული ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლიდან 1914 წ. № 222 გალაქტიონ კაპანაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2905 3—2

დაიკარგა ორი მოწმობა, მიღებული კავთის ხევის თემიდან. მოწმობა ორი თვის შვებულების და იარაღის ტარების, მიღებული ცხენოსანთა რაზმიდან და ფედერალისტთა პარტიის საწევრო ბარათი არჩილ ციციშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2906 3—2

დაიკარგა პასპორტი აგალი აბდულ ბაგიოღლი კასუმოვის სახელზე, მიღებული კიზილ აჯილის სოფ. სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2907 3—2

დაიკარგა პასპორტი იოსებ ჩუტკარიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2895 3—3

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ტფილისის კანტორა ამით აცხადებს, რომ ა. წ. ნოემბრის 13-ს დილის 9 საათზე საზოგადოების სოწყობში, რაიც მოთავსებულია მე-3 უბანში, მუშტაიდის შესახვევში სახლი № 4, გაიყიდება ქვემორე აღნიშნული საქონელი, რომელიც მიღების უფლების მქონეთა მიერ დანიშნულ ვადამდე არ არის გატანილი: ოდესის კანტორის კვიტანციების თანახმად №№ 6549864, 6548746, 6547808, 6547805, 6462226, 654.8803, 6548673, 6548659, 6548121. 6548087, 6547801, მოსკოვის №№ 6393464, 6393598, 5788658, 6354296, 6388361, 6388150, 6388422, კრემენჩუგის №№6604563 6604635, 6604633, 6604634, 6604615, პეტროგრადის № 737, როსტოვის № 6404802, ნიჟეგოროდის-6245813, შუშის № 6172963, ცარიცინის № 6532668, ტავრიდის № 269079[1] ბრესტ-ლიტოვის. №№ 5011577, 5011578, 5011576, კავკავის № 6530854, ტფილისის №№ 70494, 70499, 38531, 6528459, 6187185, 6187188, 49193, გაიყიდება შემდეგი საქონელი: კასტორის შლიაპები, კოსმეტიური საქონელი, სელიტრა, საკანცელარიო ნივთები, სააფთიაქო საქონელი, სათამაშო ქაღალდები, საწერი ნივთები, გუმიარაბიკი, სათამაშო ნივთები, შროტკები, სურიკი, ჩალის შლიაპები, მდოგვის ზეთი, ბამბეულის ქსოვილები, პრობკები, ცარიელი ტომრები, სასარაჯო საქონელი, ჩემოდნები, სტამბის შრიფტი, რკინის ლურსმანი, მატრაცები, ზუმფარა (ნაჟდაკი), ფიზიკური ხელსაწყო, პაპიროსის გასაკეთებელი მანქანები რეზინის ნამუშავარი, ელექტრონის მოწყობილობა და თუჯის ნამუშავარი.

საქონლის გასინჯვა შეიძლება ა. წ. ნოემბრის 9-დან, დილის 10 საათიდან 12-მდე საზოგადოების საწყობშივე. 2915 3—1

დაკარგულია ამიერ-კავკასიის ბანკის აქციები: № 5345-5354 და 9717-9726 ლავრენტი ლუარსაბის ძე გრიგოლაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2925 3—1

დაიკარგა ატესტატი აქსენტი ფირანის ძე შაფათავას სახელზე, მიღებული ჩოხატაურის პირველ დაწყებით სასწავლებლიდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2809 3—1

დაიკარგა პასპორტი ოვანეს ჯანფოლადოვის სახელზე, მიღებული ერევნის მაზრის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2910 3—1

დაიკარგა საბაქოს ქუჩაზე სასწრაფო ფოტოგრაფზე მუშაობის ნებართვა № 1256 აგრიკ გიორგის ძე კარტანიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2911 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა პავლე ხოსოს ძე შოშიტაშვილის სახელზე, მიღებული ტფილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2913 3—1

დაიკარგა სამრეწველო მოწმობა № 1440 სად. სალოდლის ბუფეტის მოიჯარადრეს ვარლამ ილიას ძე ახვლედიანის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2915 3—1

დაიკარგა კავკავში წასვლის ნებართვა კუიუმ ჩიბაშევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2916 3—1

დაიკარგა მატრიკული ვერა ვარდენ ბარდაველის ასული ლომაიას სახელზე მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2917 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, და შეშის მისაღები ორდერი. სპირიდონ ნიკოლოზის ძე ხურიევის სახელზე, მიღებული რკ. გზის მილიციის სამმართველოდან და სხვა საბუთები. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2923 3—1

დაიკარგა ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 169 ალექსანდრე ბაგდანის ძე არიუთინოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2924 3—1